აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(01.09.2019-31.08.2020 წწ)

2020 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა
კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის
ა ნ გ ა რ ი შ ი
(01.09.2019—31.08.2020წწ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2019 წლის 17 ივნისის N44 გადაწყვეტილებით საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

კომიტეტის თავმჯდომარე - გიორგი რომანაძე
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - ხვიჩა შარაშიძე
კომიტეტის წევრი - ნინო ჩხეტია
კომიტეტის წევრი - ვახტანგ წულაძე
კომიტეტის წევრი - გიორგი მანველიძე
კომიტეტის წევრი- გია აბულაძე
კომიტეტის წევრი- მერაბ ბლადაძე

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო:

- საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან შემოსულ კანონპროექტებზე მუშაობა;
- კომიტეტის გამგებლობას მიკუთვნებული დარგების მიხედვით კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესწავლა და გაანალიზება;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მიღება და მასში ცვლილების შეტანის პროცესის ორგანიზება;
- ოპერატიული კონტროლი ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე;
- ეკონომიკურ სექტორში არსებული პრობლემების შესწავლა;
- უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა;
- საქართველოს პარლამენტიდან მიღებული კანონპროექტების განხილვა და მათზე წინადადებების მომზადება;

● მოქალაქეთა წერილებზე რეაგირება და კომიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა მიმართულებები;

I.სტატისტიკური მონაცემები

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

● საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მიერ სულ ჩატარებულია 13 სხდომა.

● საკომიტეტო სხდომებზე განხილულია 17 საკითხი.

● კომიტეტის სხდომებზე განხილული საკითხების თაობაზე საანგარიშო პერიოდში მომზადებულია 15 დასკვნა.

● სხდომებზე მოსმენილი იქნა 8 სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია.

კომიტეტში შემოსული და კომიტეტიდან გასული კორესპოდენციის სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში:

- საქართველოს პარლამენტის აპარატიდან, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან, აგრეთვე მოქალაქეებიდან კომიტეტში შემოსულია სულ **352** კორესპოდენცია. აღნიშნული კორესპოდენციები კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის აპარატის თანამშრომლების მიერ იყო კონტროლზე აყვანილი, შესწავლილი და განხილული. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეცა შესაბამის უწყებებს, საიდანაც მიღებულია პასუხები მათ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე. აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობით დადებითად იქნა გადაწყვეტილი არა ერთი პრობლემური საკითხი.

- კომიტეტიდან გაგზავნილია 98 ოფიციალური წერილი.

მოქალაქეთა მიღების ოფიციალური სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის წევრების მიერ ოფიციალურად მიღებულია 131 მოქალაქე.

II. საკანონმდებლო საქმიანობა

კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობის კომპონენტი იყო, როგორც ახალი კანონპროექტის შემუშავება და ინიცირება, ასევე სხვა საკანონმდებლო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა.

● 2019წლის ნოემბერში უმაღლეს საბჭოში განსახილველად შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ”აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. კანონპროექტის შემუშავების მიზანი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება. წარმოდგენილი პროექტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ასიგნებები დაგეგმილი იყო **343 039,0** ათას ლარით.

მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა ჯანდაცვის, სოციალური, ინფრასტრუქტურული, სოფლის მეურნეობის, განათლების და სხვა პროგრამები, მცირე მთავრობის კონცეფციის განხორციელებით ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და აკუმულირებული თანხების მთლიანად რეგიონის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პროექტებზე გახარჯვა.

კომიტეტმა კოორდინაცია გაუწია აღნიშნული დოკუმენტის განხილვას კომიტეტებსა და ფრაქციებში და მთავრობას წარუდგინა 20 შენიშვნა და წინადადება, რის შემდეგაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **350 094,3** ლარით. 2019 წელთან შედარებით აჭარის მთავარი ფინანსური დოკუმენტი 7 890 900 ლარით, 2,3%-ით გაიზარდა. წარმოდგენილი ბიუჯეტით გაიზარდა ჯანდაცვის, სახელოვნებო და სასპორტო, საჯარო-საპენსიო სკოლების მასწავლებლების ანაზღაურება. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ინვენტარით აღჭურვის პროგრამის დაფინანსება. 2020 წელს აჭარის ბიუჯეტის 65%-მდე გათვალისწინებული იყო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე.

უმაღლესმა საბჭომ რეგიონის ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი დეკემბერშივე დაამტკიცა.

● 2020 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (Covid-19) პანდემიად გამოცხადების გამო, შესაბამის ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის დღის წესრიგში დადგა 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვილობა, სოფლის მეურნეობის გაძლიერება და ათასობით ბენეფიციარისთვის სასურსათო კალათის გადაცემა - ეს საგანგებოდ შემუშავებული რეგიონის ფინანსური დოკუმენტის ძირითადი პრიორიტეტები იყო.

მიზნობრივი დაფინანსებისათვის თანხის გათვალისწინება მოხდა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წელს გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე.

● ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, COVID 19-თან დაკავშირებით უმაღლესმა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია უმაღლესი საბჭოს 2020 წლის ბიუჯეტში ასიგნებების შემცირება.

მიღებული დადგენილების შესაბამისად შემცირდა უმაღლესი საბჭოს 2020 წლის ბიუჯეტი 100,0 ათასი ლარით. კერძოდ: საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები 80,0 ათასი ლარით, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები -10,0 ლარით, ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები -10,0 ლარით.გამოთავისუფლებული 100 ათასი ლარი, რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაიწერა და კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლას მოხმარდა.

● „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26^1-ე მუხლისა და რეგლამენტის 138-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ფორმირებულ იქნა კომიტეტების, ფრაქციების და უმაღლესი საბჭოს აპარატის წინადადებების საფუძველზე. საფინანსო-საბიუჯეტო და და ეკონომიკურ საკითხა კომიტეტმა განიხილა ბიუჯეტის პროექტი, მოამზადა შესაბამისი დასკვნა და დადგენილების პროექტის სახით წარუდგინა უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

დადგენილებით განხორციელდა უმაღლესი საბჭოს 2021 წლის გადასახდელების დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა. უმაღლესი საბჭოს 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 5 216 800 ლარით.

უმაღლესი საბჭოს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი დამტკიცებულ იქნა სხდომაზე დადგენილებით.

● კომიტეტმა როგორც წამყვანი კომიტეტმა მონაწილეობა მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის განხილვაში.

კანონპროექტი ითვალისწინებდა ავტონომიური რესპუბლიკების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოს შექმნაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრას და საბჭოს წევრების დაკომპლექტების წესის, ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას. ასევე ავტონომიური რესპუბლიკების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ლიკვიდაციის წესის მიღებაზე ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების განსაზღვრას. კანონპროექტმა გაიარა ყველა დადგენილი პროცედურა და 2020 წლის მაისის თვეში მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

● აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით კომიტეტში შემოვიდა აჭარის ავტონომომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტის მიღების მიზანი გახლდათ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე პრაქტიკაში გამოვლენილი უზუსტობებისა და ხარვეზების კორექტირება, რითაც ხელი შეეწყობა კანონის ნორმების უფრო სრულფასოვნად გამოყენებას და აღსრულებას.

წამყვანი კომიტეტის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნები, რაც ავტორის მიერ გათვალისწინებულ იქნა.

უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტი მიღებულ იქნა ერთი მოსმენით.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით კომიტეტში შემოვიდა აჭარის ავტონომომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონის პროექტის მიღების მიზანი სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017-2018 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ქვეპროგრამების „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“ ბენეფიციარებზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოქნილი დავალიანების ჩამოწერა.

ამ პერიოდისათვის კომიტეტში მიმდინარეობს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის კონსოლიდირებულ ვერსიაზე მუშაობა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მუდმივად ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს, კერძოდ:

უმაღლესი საბჭო, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მეშვეობით, ახორციელებს საერთო, თანამიმდევრულ კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე.

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2020 წლის მაისში კომიტეტმა განიხილა მთავრობის მიერ წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში და ორგანიზება გაუწია ამ დოკუმენტის განხილვას კომიტეტებსა და ფრაქციებში. ამასთან კომიტეტმა მოისმინა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისა და აუდიტის სამსახურის მოხსენებები

წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით და მოამზადა შესაბამისი დასკვნა. დასკვნები წარედგინა პლენარულ სხდომას და 2019 წლის შესრულების წლიური ანგარიში დადგენილებით დამტკიცებულ იქნა სხდომაზე.

● საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ უმაღლეს საბჭოს წარმოუდგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებები 2021-2024 წლებისათვის", რომელიც წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიან კონცეფციას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები:

კომიტეტმა დაგეგმა დარგობრივ კომიტეტებში ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვები.

კომიტეტის შემაჯამებელ სხდომაზე გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები და წარედგინა ბიუროს.

● ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში მთავრობა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა ორგანიზება გაუწია საკომიტეტო განხილვებს. ყოველკვარტალურად განიხილა საბიუჯეტო წლის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მიმოხილვა და განხილვის შედეგები, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მიერ წარედგინა უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რომელმაც ცნობად მიიღო რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა.

კომიტეტი ვადების დაცვით ახორციელებს ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის შესწავლას, ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამისს რეაგირებას.

საფინანსო- საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მიერ უმაღლეს საბჭოს სხდომისთვის განსახილველად მომზადებულია შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ; ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დ. გაბაიძე, ნ.ჩხეტია და გ.რომანაძე

(მიღებულია: N100 25.10.2019წ)

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ”აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ"; *ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.*
(მიღებულია: N101 12.12.2019წ)

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობის შემცირების შესახებ“; ინიციატორი: საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.
(მიღებულია: N110 30.04.2020წ)

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; *ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა*
- (მიღებულია: N111 30.04.2020წ)

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
- (მიღებულია: N116 18.06.2020წ)

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ";
ინიციატორი: საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.
(მიღებულია: N118 18.06.2020წ)

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; *ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა*
(მიღებულია: N132 08.08.2020 წ)

-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - ”აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
(ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე)
(მიღებულია: N137 17.08.2020 წ)

III. საკომიტეტო მოსმენები (ძირითადი საკითხები)

3.1 კომიტეტის სხდომებზე განხილული ან/და მოსმენილ იქნა:

1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების თაობაზე;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების თაობაზე;

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების თაობაზე;

4. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის საქმიანობის თაობაზე;

5.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ (2021-2024წ);

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების თაობაზე;

3.2 კომიტეტში განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტიდან შემოსული 46 კანონპროექტი:

- საქართველოს კანონის პროექტი: **„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;**
- საქართველოს კანონის პროექტი **„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს კანონის პროექტი: **„სახელმწიფო ქონების შესახებ“** საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
- საქართველოს კანონის პროექტი **„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ;
- საქართველოს კანონის პროექტი **„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- საქართველოს კანონის პროექტი **„განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოების და გამოყენების წახალისების შესახებ“.**
- საქართველოს კანონის პროექტი **„დაგროვებითი პენსიის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს კანონის პროექტი **„მეწარმეთა შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ;

▪ ▪ საქართველოს კანონის პროექტი **„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“;

▪ საქართველოს კანონის პროექტი **„გრანტების შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

▪ საქართველოს კანონების პროექტი: **„ ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

▪ და სხვა.

IV. სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობა

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია კომიტეტის წევრების მოსახლეობასთან, მასმედიის, პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრა. კომიტეტის წევრების მიერ მიცემულ იქნა მრავალი ინტერვიუ. მონაწილეობა გვაქვს მიღებული სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო გადაცემებში.

კომიტეტის წევრებს საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიღებული აქვთ სხვადასხვა სახის შეხვედრებსა და ღონისძიებებში.

კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო ორგანოებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან.

V.სამომავლო პერსპექტივებია:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესების დახვეწა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის აპარატებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ეფექტური, კოორდინირებული კანონშემოქმედებითი საქმიანობას უზრუნველყოფა, საკანონმდებლო ორგანოების კომიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება;

გ) გასვლითი სხდომების ორგანიზება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში მდგომარეობის უკეთ გაცნობისა და პრაქტიკული მხარდაჭერის მიზნით;

დ) საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება ეკონომიკური დარგების მარეგულირებელ კანონებში ცვლილების შეტანის გზით;

ე) ანგარიშების მოსმენა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლისა და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

სტატისტიკური მონაცემები საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

სხდომების რაოდენობა	განხილული საკითხი	მიღებული დასკვნა
13	17	15

წარდგენილ საკითხთა სტატისტიკა

წარდგენილია სამართლებრივი აქტი

მიღებული კანონი		ანგარიშებისა და მოხსენებების მოსმენა	საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტები
3			
როგორც ინიციატორი	წამყვანი კომიტეტის რანგში		
3	5	6	46

კორესპოდენციის რაოდენობა

შემოსული	გასული
352	98

მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

მიღებული მოქალაქეების რაოდენობა
131